



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1212
18/06/2018

ქალაქი ბათუმი

1212-05-4-201806181639



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლაში, ახალშენისა და მახინჯაურის სტრუქტურულ ერთეულებში მისაღები კონტიგენტის ოდენობის დამტკიცების შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა და მისი სტრუქტურული ერთეულები საჭიროებს 2018-2019 სასწავლო წლისათვის I კლასში და განთესვის ხარჯზე მისაღები კონტიგენტის გამოყოფას 88 ერთეულით.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 აპრილის №62 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე-ე ქვეპუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლის 2018 წლის 08 ივნისის №01-04/31 კორესპოდენციის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლას 2018-2019 სასწავლო წლისათვის I კლასში მოსწავლეთა მისაღები კონტიგენტი განესაზღვროს 30 ერთეულით, ხოლო ახალშენისა და მახინჯაურის სტრუქტურულ ერთეულებს 20-20 ერთეულით. გარდა ამისა, განთესვის ხარჯზე მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 18 ერთეულით.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლების და კულტურის სამსახურს.


3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is written over the text of the official position. The signature is enclosed within a faint blue oval outline.